ჯვრით მსვლელობამ კიევში მკაფიოდ აჩვენა : უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია უკრაინის ყველაზე მრავალრიცხოვანი კონფესიაა

28 ივლისს რუსეთის გაქრისტიანება – ნათლისღება აღინიშნებოდა. ამ დღესასწაულს წინ უძღვოდა კიევის ქუჩებში ჯვრით მსვლელობა – ვლადიმერის გორაკიდან, სადაც დგას რუსეთის მომნათვლელი მოციქულთასწორი მთავრის, ვლადიმერის ძეგლი, კიევ-პეჩერის ლავრამდე, რაშიც მონაწილეობა მიიღო უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დახლოებით 350 ათასამდე მორწმუნემ.

ეთერში სატელევიზიო პროგრამასთან – „ეკლესია და მსოფლიო“ ამ მოვლენის შესახებ საუბარში, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა შენიშნა: „ისინი კიევ-პეჩერის ლავრის კედლებთან იმისათვის მივიდნენ, რომ დაემოწმებინათ საკუთარი რწმენა, ერთობის საკუთარი ნება. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია კვლავ რჩება უკრაინის ყველაზე მრავალრიცხოვან კონფესიად, და ეს მორიგ ჯერზე უკვე მერამდენედ მკაფიოდ აჩვენა ჩატარებულმა ჯვრით მსვლელობამ“.

მაყურებელს მან შეახსენა, რომ უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესია განიცდის დაუმსახურებელ თავდასხმებს, შევიწროებას, დევნას იმის გამო, რომ ის რუსეთის მართლმადიდებელ

ეკლესიასთან ერთობის შენარჩუნებას ცდილობს. ამ ერთობას ისტორიული ფესვები გააჩნია, განპირობებულია ჩვენი საერთო რწმენით, ჩვენი საერთო ისტორიით“, – ხაზგასმით აღნიშნა იერარქმა. ამასთან, მეუფე ილარიონმა კონსტატაცია გააკეთა იმისა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია არის თვითმმართველი და დამოუკიდებელი ადმინისტრაციულად და ფინანსურად; თავად, მოსკოვთან შეუთახმებლად, ირჩევს ის თავის მეთაურს და თავის იერარქებს. ერთადერთი, რაც შენარჩუნებულია – ეს არის ისტორიული კავშირი ცენტრით მოსკოვში, პატრიარქის მოხსენიება ღვთისმსახურებაზე და გამორჩეული მეთაურის კურთხევა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მიერ“, – აღნიშნა სსკგ-ს თავმჯდომარემ.

ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ხაზი გაუსვა, რომ „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, მთელი მისი ეპისკოპატი, სამღვდლოება და ეკლესიური საზოგადოება ერთიანია რუსეთის ეკლესიასთან კავშირის სურვილში – ეს ყველაფერი ძალიან ნათლად აჩვენა კიევში ჩატარებულმა ლიტანიობამ“.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87822/